ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1925 წლის სექტემბრის 15.

№ 8.

განყოფილება პირველი

გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 474. სატრანზიტო ვიზით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მსვლელობის წესების შესახებ.

„ 475. ინსტრუქცია ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის პირობების შესახებ გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.

„ 476. საკავშირო საბჭოს მიერ ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზების დაცვის თაობაზე 1922 წ. დეკემბრის 30-ს თარიღითა და 92 №-რით გამოცემული დეკრეტის გაუქმებისა და ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის 1924 წ. თებერვლის 11-ს თარიღის დადგენილების დამატების შესახებ.

„ 477. მუშათა, მოსამსახურეთა და სამხედრო მსახურთა ოჯახების დეფექტიან წევრთა უზრუნველყოფის შესახებ.

„ 478. ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომისართა საბჭოს მიერ—საფონდო და სავალიუტო ფასეულობის ვაჭრობის თაობაზე—1925 წ. ივლისის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გამო.

„ 479. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ-ბის კავშირის ცენ. აღმ. კ—ტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ —საკანცელარიო გამოსაღების მოსპობის თაობაზე—დადგენილების გამოცემის გამო.

„ 480. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ—ა/კ. ს. ფ. ს. რ. საბიუჯეტო უფლებათა შესახებ—გამოცემული დადგენილების 32 მუხ დამატებისათვის.

„ 481. ანი—ერევან—კამარლუს უბანში საშენი თირი-ქვის გადაზიდვისათვის შეღავათის დაწესების შესახებ.

„ 482. მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ.

„ 483. ცეკავშირის მიერ დამზადებული დატკეცილი თივის ვაგონობით დატირთვის ნორმის შემცირების შესახებ.

„ 484. დებულება ა/კ. ზომა-წონის პალატის შესახებ.

„ 485. თვითდაბეგვრისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების შესახებ.

„ 486. სასილიკატო ნაკეთობის ფასისათვის წანამატის დაწესების შესახებ.

„ 487. დებულება ადგილობრივ შემმოწმებელ პალატების შესახებ.

„ 488. შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 40 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**474. სატრანზიტო ვიზით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მსვლელობის წესების შესახებ.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები:

## წ ე ს ე ბ ი

**სატრანზიტო ვიზით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მსვლელობის შესახებ.**

1. მას, ვინც სატრანზიტო ვიზით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ზე გაივლის, არ შეუძლიან, როგორც საერთო წესი, გზაში გაჩერდეს.

2. გაჩერება ნებადართულია მხოლოდ სტიქიური მოვლენის დროს, რაც აბრკოლებს მატარებლისა თუ გემის მოძრაობას; აგრეთვე მატარებლისა თუ გემის მოლოდინში; მატარებლისა და გემის მოლოდინშივე ერთი მატარებლიდან თუ გემიდან მეორეზე გადასაჯდომად იმ პუნქტში, სადაც გზები თავს იყრის, და ავადმყოფობის გამო, უკეთუ ექიმი სცნობს, რომ გზის გაგრძელება ავადმყოფის სიცოცხლისათვის საშიშია (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავადმყოფთან შეუძლიანთ დარჩნენ მისი ოჯახის წევრნი ან მისი თანამხლებელი პირნი).

3. უკეთუ გზაში გაჩერება ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო 24 საათს აღემატება, გაჩერების შესახებ უნდა განეცხადოს სათანადო საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველობო განყოფილებას, რკინისგზის სადგურზე—საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის განყოფილების უფროსს ან აგენტს, ხოლო სასაზღვრო პუნქტში—სასაზღვრო პუნქტის უფროსს.

4. გაჩერების ნებართვა უფლებას იძლევა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში ყოფნისას მხოლოდ იმ ქალაქისა, სადგურისა ან პუნქტის მიჯნებში (რაიონში), სადაც მოხდა ნაიძულევი გაჩერება.

5. გაჩერების ადგილიდან წასვლის დროს სატრანზიტო მსვლელობის განსაგრძობად უცხოელი მოვალეა შეატყობინოს ეს იმ დაწესებულებას, რომელმაც მას გაჩერების ნებართვა მისცა.

6, სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადა, უკეთუ იგი უკვე წინად გადაცილებული არ იყო, ავტომატიურად, თვინიერ ამის შესახებ რისამე აღნიშვნისა, გადაიდება იმ დროისათვის, რომელიც შეეფერება ნებადართული გაჩერების ხანს.

7. უკეთუ სატრანზიტო ვიზას, გზაში გაჩერების გამო, ვადა გაუვა, უცხოელი მოვალეა გამოცხადდეს უახლოეს საქალაქო ან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამართველოში—ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკიდან გასვლისათვის ვიზის მისაღებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ის უცხოელი, რომელიც დაარღვევს ამა წესებს, პასუხისგებაში იქნება მიცემული და გადაჰხდება ჯარიმა 25-დან 100 მანეთამდე, რომელ ჯარიმასაც დაადებს მას ადმინისტრატიული წესით ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ან მისი ორგანო.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 წ. ივლისის 16. ტფილისი-სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 941 №-ში 1925 წ. აგვისტოს 2-ს.

---

# ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

**475. ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საგლეხო მეურნეობაში დაქირავებაული დამხმარე შრომის პირობების შესახებ—გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის.**

საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღით გამოცემული დროებითი წესების 22 მუხ. თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ამყარებს შემდეგ წესს ხსენებული წესების შეფარდებისათვის ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე.

## I. დროებითი წესების გავრცელების ფარგლები.

1. მოქმედება ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი წესებისა—საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის შეფარდების პირობების შესახებ—გავრცელდება ყველა შრომითი საგლეხო მეურნეობაზე, სახელმწიფოსაგან მიცემულ მიწაზე იქნება იგი თუ იჯარით აღებულ მიწაზე, რომელ მეურნეობაშიაც დაქირავებული შრომა არის ოჯახის სამუშაო ძალღონის დამხმარე ძალა, იმისდა მიუხედავად, თუ რა ხასიათისა იქნება დაქირავებული შრომა (საოჯახო და მინდვრის სამუშაო, მესაქონლეობა და სხვ.) და დაქირავების ვადა (დღიური, სასეზონო და მუდმივი მუშა).

**შენიშვნა.** დროებითი წესები გავრცელდება შრომისუუნაროს, სამხედრო სამსახურში გაწვეულისა, ინვალიდისა, ქვრივისა, ობლისა და სხვ. პირის საგლეხო მეურნეობაზე, იმისდა მიუხედავად, დამატებითია—თუ არა—ოჯახის სამუშაო ძალღონისათვის დაქირავებული შრომა.

2. სამრეწველო ტიპის მეურნეობისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს დადგენილებანი შრომის პირობების შესახებ საბჭოთა მეურნეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### II. ბოგანო მუშა-მამაკაცთა და ქალთა დაქირავების წესი.

3. ბოგანო მუშა-მამაკაცი და ქალი მიიღება სამუშაოზე თვით დამქირავებლის მიერ უმეშვეოდ.

4. აკრძალულია, რომ ადგილობრივ სავალდებულო წესად დამყარებულ იქნეს ბოგანო-მუშის დაქირავება ბოგანო-მუშათა კომიტეტისა, სოფლის საბჭოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით ან დამქირავებლის მიერ დაქირავებისათვის ნებართვის მიღება ხსენებულ ორგანოთაგან.

5. ბოგანო-მუშის დაქირავება შეიძლება დღიურ სამუშაოზე, სეზონის განმავლობაში ან მუდმივი სამუშაოსათვის.

### III. დაქირავების პირობები.

6. ბოგანო მუშა-მამაკაცისა და ქალის დაქირავების პირობები განისაზღვრება ნებაყოფლობითი წერილობითი შეთანხმებით დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

წერილობითი შეთანხმება დამქირავებელთან შეუძლიან დასდოს თვით ბოგანო-მუშამ ან მისი სახელით ხელშეკრულობა შეიძლება დასდოს და ხელი მოაწეროს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელმა.

**შენიშვნა.** ბოგანო მუშა-მამაკაცისა და ქალის დაქირავებისათვის ისეთ სამუშაოზე, რაც ერთდროულად ორ კვირაზე მეტს არ გაგრძელდება ან მთელი წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა ვადით დაქირავება — საერთოდ — ერთ თვეზე მეტს არ გაგრძელდება, — წერილობითი შეთანხმების დადება სავალდებულო არ არის.

7. შეთანხმებაში (შრომის ხელშეკრულობაში) აღნიშნულ უნდა იყოს:

ა) ძირითადი სამუშაო, რისთვისაც დაქირავებულია ბოგანო მუშა-მამაკაცი ან ქალი.

ბ) დაქირავების ვადა;

გ) სამუშაო დრო;

დ) სამუშაო ხელფასის რაოდენობა, სახე და გადახდის ვადები;

ე) დამატებითი პირობები, რასაც მხარენი დაამყარებენ.

მხარეთა შეთანხმებით არ შეიძლება დამყარებულ იქნეს ისეთი პირობა, რაც ბოგანო მუშა-მამაკაცის ან ქალის მდგომარეობას გააუარესებს ამა ინსტრუქციასთან შედარებით; მდგომარეობის გამაუარესებელი პირობა ბათილია.

8. დაქირავების შეთანხმება (შრომის ხელშეკრულობა) შეიძლება დადებულ იქნეს ვადით არა უმეტეს ერთის წლისა.

არ შეიძლება ისეთი დაქირავების შეთანხმების დადება, რის აღსრულებაც დაიწყება ერთის წლისა ან მეტი ხნის შემდეგ შეთანხმების დადებიდან.

9. წერილობითი შეთანხმებას უნდა გაუკეთდეს რეგისტრაცია სოფლის საბჭოში დაქირავების ადგილის მიხედვით, ხოლო უკეთუ იგი არ არის, უახლოეს სოფლის საბჭოში ან საუბნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელ კომიტეტში, თვინიერ რაიმე სასყიდლის გადახდევინებისა დამქირავებლისა და დაქირავებულისათვის და თვინიერ სოფლის საბჭოს ან საუბნო (სათემო, სადაირო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტის უფლებისა—რაიმე ცვლილება შეიტანონ მათთვის წარდგენილ შეთანხმებაში.

დამქირავებელი მოვალეა წარადგინოს ხელშეკრულობა სოფლის საბჭოში რეგისტრაციისათვის არა უგვიანეს ორი კვირისა დაქირავების დღიდან.

10. სოფლის საბჭო მოვალეა რეგისტრაციაში გაატაროს შრომის ხელშეკრულობა (შეთანხმება) იმავე დღეს, რა დღესაც იგი წარდგენილ იქნება რეგისტრაციისათვის, ყოველ შემთხვევაში—არა უგვიანეს მეორე დღისა.

რეგისტრაცია გამოიხატება ხელშეკრულობათა დავთარში ძირითად პირობების შეტანით (დაქირავების ვადა, სამუშაო დრო, სამუშაო ხელფასის რაოდენობა და გადახდის ვადა და სხვ).

**შენიშვნა.** სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მიაწოდოს სასოფლო საბჭოს დავთარი ხელშეკრულებათა რეგისტრაციისათვის იმ ფორმისა, რაც დადგენილ იქნება შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების შეთანხმებით.

11. შრომის ხელშეკრულობა შედგენილ და მხარეთა მიერ ხელმოწერილ უნდა იქნეს ორ ცალად და რეგისტრაციის შემდეგ მიეცეს დამქირავებელს და ბოგანო-მუშას.

12. შრომის ხელშეკრულობაში წერა-კითხვის არმცოდნე ბოგანო-მუშისა ან დამქირავებლის მაგიერ ხელისმოწერა ან მათ მიერ დასმული ნიშნები შემოწმებულ უნდა იქნეს სოფლის საბჭოს მიერ. სოფლის საბჭოს უფლება არა აქვს სასყიდელი რამ გადაახდევინოს მხარეთ აღნიშნული ხელისმოწერისა ან ნიშნების შემოწმებისათვის.

13. წერაკითხვის არმცოდნე მხარისა ან ერთ-ერთი მხარის (როდესაც ორივე მხარე წერაკითხვის უცოდინარია) მოთხოვნით შრომის ხელშეკრულობა, რეგისტრაციის შემდეგ, წაკითხულ უნდა იქნეს ხმამაღლა სოფლის საბჭოს წარმომადგენლის მიერ.

14. წერილობითი შეთანხმება ბოგანო მუშა-მამაკაცისა ან ქალის დაქირავების შესახებ ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერისათანავე.

## IV. სამუშაო დრო და დასვენება.

15. გადიდებული სამუშაო დღე (ე. ი. სამუშაო დღე, რომელიც 8 საათს აღემატება) მიიღება მხარეთა შეთანხმებისამებრ სამუშაოს ხასიათის მიხედვით ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო პერიოდში.

16. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, სოფლის მეურნეობაში გახურებული მუშაობის დროს, შეიძლება ღამითაც მუშაობა (თიბვა, მინდვრის მორწყვა და სხვ.)

17. დამქირავებელი მოვალეა მისცეს ბოგანო მუშა-მამაკაცს ან ქალს დასასვენებლად კვირაში ერთი დღე (სადღესასწაულო).

18. ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან შემდეგ რევოლიუციონურ დღესასწაულში:

ა) იანვრის 1-ს—ახალ წელს.

ბ) იანვრის 22-ს—1905 წლის 9 იანვრის დღეს.

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მარტის 12-ს—თვითმპყრობელობის დამხობის დღეს.
დ) მარტის 18-ს—პარიზის კომუნის დღეს.
ე) მაისის 1-ს—ინტერნაციონალის დღეს.
ვ) სექტემბრის 20-ს—26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტის დღეს.
ზ) ნოემბრის 7-ს—პროლეტარული რევოლიუციის დღეს.

ზემოაღნიშნული რევოლიუციონური დღესასწაულების გარდა, ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან რესპუბლიკის გასაბჭოების დღეს: აზერბაიჯანში—აპრილის 28-ს, სომხეთში—ნოემბრის 29-ს. და საქართველოში—თებერვლის 25-ს.

19. ზემოდ ჩამოთვლილი 8 რევოლიუციონური დღესასწაულის გარეშე, ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან წლის განმავლობაში კიდევ ექვს განსაკუთრებულ დასვენების დღეს (ადგილობრივი სახალხო დღესასწაული), რასაც დააწესებს და გამოაქვეყნებს სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

20. უკეთუ გაზურებული მუშაობის დროს საჭირო იქნება დამქირავებლისათვისაც და ბოგანო მუშა მამაკაცისათვისაც (ან ქალისათვის) მუშაობა რომელსამე დღესასწაულში ან დასვენების დღეს, დღესასწაულის გამოუყენებლობა უნდა აენაზღაუროს ბოგანო მუშა-მამაკაცს (თუ ქალს) ან სხვა დასვენების დღის მიცემით ან ფულადი სასყიდლით ცალკე შეთანხმებისამებრ.

21. მუდმივ და სასეზონო მუშას დღესასწაულისათვის სამუშაო ხელფასიდან არა გამოერიცხება რა; აგრეთვე სასმელ-საჭმელიც ამ უქმი დღისათვის საერთო წესით ეძლევა, როგორც სამუშაო დღეს.

22. ყველა უქმე-დღეს, აგრეთვე სამუშაო დღესაც, აგრეთვე მუშაობისაგან თავისუფალ დროს, ბოგანო მუშა-მამაკაცს და ქალს უფლება აქვს დასტოვოს დამქირავებლის კარმიდამო და მუშაობისაგან თავისუფალი დრო თავის სურვილისამებრ გამოიყენოს.

## V. შრომის გასამრჯელო.

23. შრომის გასამრჯელოს რაოდენობა ბოგანო მუშა-მამაკაცს თუ ქალს დაენიშნება მხარეთა შეთანხმებისამებრ, ხოლო იგი არ უნდა იყოს უწყებული ადგილისათვის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლები.

**შენიშვნა.** შრომის ხელფასის მინიმუმის განსაზღვრისათვის სათვალავში მიიღება ის ნაწილი შრომის ხელფასისა, რაც ნატურით გაიცემა, და სასმელ-საჭმელი.

24. რა შრომის ხელფასი და როგორ უნდა იქნეს იგი გადახდილი (დროიდან-დრომდე, ნაჭრობით, ფულად თუ ნატურით) ან რა ვადაზე—ყველა ეს განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

შეთანხმების დადების დროს შრომის ხელფასი შეიძლება დაწესებულ იქნეს მთლად ნატურით ან ნაწილობრივ. შეთანხმებაში აღნიშნულ უნდა იქნეს, რა საგნები უნდა მიეცეს მუშას, რა თვისებისა და რა რაოდენობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. დამქირავებელს უფლება არა აქვს—აიძულოს ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი შრომის ხელფასი ნატურით მიიღოს ნაცვლად შეთანხმებით შეპირებული ფულადი სასყიდლისა.

26. უკეთუ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის აღიძვრის დავა სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ და შრომის ხელშეკრულობა წერილობით არ იქნება დადებული ან ხელშეკრულობაში შრომის ხელფასის რაოდენობა სისწორით არ იქნება აღნიშნული,—ამ ხელფასის რაოდენობას განსაზღვრავს მომრიგებელი კომისია (ამა ინსტრუქციის 48—63 მუხ.); ხოლო, უკეთუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საქმე სახალხო სასამართლოში გადაიტანება.

27. დამქირავებლის მიერ თავისი ძალა-უფლებით რაიმე გადასახდელის დადება ბოგანო მუშა-მამაკაცზე თუ ქალზე არ შეიძლება.

## VI. დამქირავებლისა და ბოგანო-მუშის მოვალეობანი.

28. დამქირავებელი მოვალეა შეასრულოს შეთანხმების ყველა პირობა: გადაიხადოს შეპირებულ ვადაზე სამუშაო ხელფასი, გაიღოს ხელშეკრულობით დაწესებული ტანისამოსი, მისცეს ბოგანო მუშა-მამაკაცს თუ ქალს საცხოვრებლად გამოსადეგი სადგომი და აძლიოს მას იმისთანა თვისების საჭმელი, რაც მის, დამქირავებლის, ოჯახში იხმარება.

29. ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი მოვალეა შეასრულოს ყველა სამუშაო, რაც განსაზღვრულია შეთანხმებით, გაფრთხილებით მოექცეს საქონელსა და ინვენტარს და ზიანი არ მიაყენოს დამქირავებლის ქონებას.

ბოგანო მუშა-მამაკაცისა ან ქალის დაუდევრობით იარაღისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და ინვენტარის გაფუჭებისათვის ან საქონლის დაშავებისათვის შეიძლება მომრიგებელმა კომისიამ ან სახალხო სასამართლომ დაადგინოს, რომ ეს ბოგანო მუშას სამუშაო ხელფასიდან გამოერიცხოს.

30. დამქირავებლისაგან წასვლის დროს ბოგანო მუშა-მამაკაცმა თუ ქალმა უნდა ჩააბაროს დამქირავებელს მისთვის, მუშისთვის, მინდობილი ქონება.

## VII. მოზარდთა და ქალთა შრომა.

31. სავლეხო მეურნეობაში სამუშაოზე დაქირავებით შეიძლება მიღებულ იქნენ მოზარდნი 14 წლისაზე არა უმცროსნი. განსაკუთრებით მსუბუქი მუშაობისათვის შეიძლება მიღებულ იქნენ აგრეთვე მოზარდნი, ხოლო 12 წლისაზე არა უმცროსნი.

32. აკრძალულია მოზარდთა და ორსულ დედაკაცთა შრომის გამოყენება მათთვის დაუძლეველ და ჯანმრთელობისათვის მავნე მუშაობაზე.

33. 14 წლისაზე უმცროსი მოზარდისა და ორსული ან ძუძუს-მაწოვებელი დედაკაცის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მუშაობაზე ღამ-ღამობით არ შეიძლება.

34. 14 წლისაზე უმცროსი მოზარდის გამოყენება დამოუკიდებელ სამუშაოზე, რომელიც რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანით სწარმოებს (სამკელი, ძნის-მკვრელი, სალეწი დოლი და სხვ.) არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. დამქირავებელი მოვალეა—შეასწავლოს მცირეწლოვანს საქონლის მოვლა, სასოფლო-სამეურნეო იარაღის მოხმარება, მეურნეობის გაძღოლა და სხვ.

## VIII. ბოგანო მუშა-მამაკაცისა თუ ქალის დათხოვნა და მათ მიერ მუშაობისათვის თავდანებება

36. დამქირავებელს შეუძლიან პატივსადები მიზეზის გამო დაითხოვოს ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი შეთანხმების ვადის გასვლამდე; ამასთანავე ეს აუცილებლად ორი კვირით ადრე უნდა აცნობოს მას.

უკეთუ დამქირავებელი დაითხოვს ბოგანო მუშა-მამაკაცს თუ ქალს ისე, რომ ორი კვირით ადრე არ შეატყობინებს ამ დათხოვნას, იგი ვალდებულია გადაუხადოს მას ორი კვირის სამუშაო ხელფასი წინადვე (გამოსასვლელი გასამრჯელო), უკეთუ ბოგანო-მუშა-მამაკაცს თუ ქალს უწყვეტლ მეურნეობაში ერთ თვეზე ნაკლებ ხანს არ უმუშავნია.

**შენიშვნა.** უკეთუ ბოგანო მუშა-მამაკაცი ან ქალი თავისი ნებით წავა, მას გამოსასვლელი გასამრჯელო არ მიეცემა.

37. უკეთუ დამქირავებელი შრომის ხელშეკრულობას ვადამდე მოჰშლის და ბოგანო-მუშა თანახმა არ იქნება ხელშეკრულობის მოშლის მიზეზისა, კონფლიქტს გადასწყვეტს მომრიგებელი კომისია, ხოლო თუ აქ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა,—სახალხო სასამართლო.

38. გამოსასვლელი გასამრჯელოს რაოდენობა დათხოვნის დროს განისაზღვრება შრომის ხელფასის როგორც ფულადი ნაწილის მიხედვით, ისე იმ ნაწილის მიხედვით, რაც ნატურით ეძლევა მუშას.

39. ბოგანო მუშა-მამაკაცი თუ ქალი, უკეთუ წასვლას დააპირებს, მოვალეა ეს დამქირავებელს ერთი კვირით ადრე აცნობოს.

40. დამქირავებელს არ შეუძლიან ბოგანო-მუშის წასვლის დროს არ დააბრუნოს მას დოკუმენტები (პიროვნების მოწმობა და სხვ.) აგრეთვე მისი საკუთარი ნივთები (ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ლოგინი და სხვ.)

## IX ბოგანო მუშა-მამაკაცისა თუ ქალის უზრუნველყოფა ავადმყოფობისა, მშობიარობისა და დაშავების დროს

41. ის საგლეხო მეურნეობა, რომელიც გამოიყენებს ბოგანო მუშა-მამაკაცისა თუ ქალის დაქირავებულ შრომას მთელი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში, მოვალეა,— მუშა- მამაკაცისა თუ ქალის ავადმყოფობის გამო, აგრეთვე ამ უკანასკნელის მშობიარობის გამო, უკეთუ კაცს თუ ქალს ამ მეურნეობაში ერთ თვეზე ნაკლებ ხანს არ უმუშავნია,—გადაუხადოს შეთანხმებით შეპირებული სამუშაო ხელფასი და მისცეს საცხოვრებელი ადგილი და სასმელ-საჭმელი ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფობისა ან მშობიარობის გამო მუშაობის მოსპობის წამიდან.

42. ის საგლეხო მეურნეობა, რომელიც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობის მხოლოდ ცალკე პერიოდებში, მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებით შეპირებული შრომის ხელფასი და მისცეს საცხოვრებელი ადგილი და სასმელ-საჭმელი ორი კვირის განმავლობაში ავადმყოფობისა ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობიარობის გამო მუშაობის მოსპობის წამიდან, უკეთუ მუშა-მამაკაცს თუ ქალს ამ მეურნეობაში ორ კვირაზე ნაკლებ ხანს არ უმუშავნია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო ორგანოები მოვალენი არიან გაუწიონ ბოგანო-მუშას (ქალი იქნება თუ კაცი) უფასოდ სამკურნალო დახმარება ავადმყოფობისა და მშობიარობის დროს.

რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს დაევალებათ, შრომის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, წინადადება მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს—ბოგანო-მუშათათვის (ქალი იქნება თუ კაცი) უფასოდ სამკურნალო დახმარების გაწევის წესის შესახებ.

43. ის საგლეხო მეურნეობა, რომელიც მთელი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში ერთსა და იმავე დროს გამოიყენებს არა ნაკლებ სამი ბოგანო-მუშისა (ქალი იქნება თუ კაცი). მოვალეა დააზღვიოს ისინი სოციალური დაზღვევის წესით იმ განსაკუთრებული წესებისა და შეღავათიანი ნორმების მიხედვით, რასაც დაადგენს შრომის სახალხო კომისარიატი.

44. უკეთუ დამქირავებელს დამზღვევ სალაროში გადასახადი შეაქვს ბოგანო-მუშისათვის (ქალი იქნება თუ კაცი), სამუშაო ხელფასს ავადმყოფობისა ან მშობიარობის დროს გადაიხდის არა დამქირავებელი, არამედ დამზღვევი სალარო.

დახმარება ბოგანო-მუშას (კაცი იქნება თუ ქალი) ავადმყოფობის დროს ეძლევა იმ დრომდე, ვიდრე იგი სრულიად განიკურნებოდეს ან შრომის უნარის დაკარგვა მიიღებდეს მყარ ხასიათს.

45. ბოგანო-მუშის (კაცი თუ ქალი) მშობიარობისა, მძიმე ავადმყოფობისა ან უბედური შემთხვევის გამო დამქირავებელი მოვალეა ან წაიყვანოს ავადმყოფი კაცი, ქალი) ექიმთან, საავადმყოფოში თუ სამედიცინო პუნქტზე, ან მოჰგვაროს (ავადმყოფს ადგილობრივ სამკურნალო დარგის მომუშავე.

46. უკეთუ დაზღვეული ბოგანო-მუშა (კაცი, ქალი) დაშავდება ან დაშავებისაგან მოკვდება დამქირავებლის სამუშაოზე, საზღაურს დაზარალებულს ან მისი ოჯახის წევრებს გადაუხდის დამზღვევი სალარო შრომის უნარდაკარგულობის მიხედვით.

**შენიშვნა**. ის გარემოება, რომ დაზარალებული დაშავდა დამქირავებლის სამუშაოზე, დადასტურებულ უნდა იქნეს სოფლის საბჭოს მიერ, რომელიც შეადგენს აქტს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ თანადამსწრეთა მონაწილეობით. აქტი გაეგზავნება უახლოეს დამზღვევ სალაროს ან მის რწმუნებულს პენსიის დანიშვნის მიზნით.

47. უკეთუ ბოგანო-მუშა (კაცი თუ ქალი) დაზღვეული არ იყო, საზღაურს ბოგანო-მუშას (კაცს თუ ქალს) ან მის ოჯახს, დაშავებისა ან დაშავებისაგან სიკვდილის გამო, მისცემს დამქირავებელი.

საზღაურის რაოდენობას, დაშავების ხასიათის მიხედვით, განსაზღვრავს ადგილობრივი სახალხო სასამართლო.

## X. ბოგანო-მუშათა და დამქირავებელთა შორის კონფლიქტების გადაწყვეტა.

48. ბოგანო-მუშასა (კაცი თუ ქალი) და დამქირავებელს შორის სამუშაოსა და ქირავნობის შეთანხმების გამო (სამუშაო დროისა, გასამრჯელოს გამოანგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეზისა, ვადაზე შრომის ხელფასის მიუცემლობისა, ხელფასის ანგარიშში მისაცემი პროდუქტების თვისებისა, სასმელ-საჭმელისა, საცხოვრებელი ადგილისა, უქმი დღეებისა, ბოგანო-მუშის დათხოვნისა თუ წასვლისა, გამოსასვლელი დახმარების მიცემისა, ავადმყოფობაში უზრუნველყოფისა და სხვ. საკითხების შესახებ) აღძრული დავის გადასაწყვეტად შეიძლება სოფლის საბჭოსთან, სათემო ან საუზნო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყოს მომრიგებელი კომისია.

49. უკეთუ ერთ-ერთი მხარე თანახმა არ იქნება საქმე განსახილველად მომრიგებელ კომისიას გადასცეს ან უკეთუ მიღწეულ არ იქნება შეთანხმება მომრიგებელ კომისიაში საქმის განხილვის დროს, დავას გადასწყვეტს სახალხო სასამართლო.

50. სიტყვიერ თუ წერილობით განცხადებას მომრიგებელი კომისიისათვის კონფლიქტის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ ორივე მხარე ან ერთ-ერთი მათგანი გადასცემს სოფლის საბჭოს ან საუზნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელ კომიტეტს.

51. სოფლის საბჭო ან საუზნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელი კომიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მას ექნება ორივე მხარის თანხმობა კონფლიქტის მომრიგებელ კომისიაში გადაწყვეტაზე, მოაწყობს მომრიგებელ კომისიას სულ მოკლე ხანში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების წამიდან. მომრიგებელი კომისიის სხდომის დღე მხარეთ ეცნობებათ ერთი დღით ადრე მაინც კომისიის სხდომამდე.

52. უკეთუ ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი არ გამოცხადდა კონფლიქტის განხილვაზე, საქმე განსახილველად ხელმეორედ დაინიშნება. უკეთუ მხარე ორივეჯერ არ გამოცხადა, საქმე მომრიგებელი კომისიიდან დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან გადაიტანოს განსახილველად სათანადო სახალხო სასამართლოში.

53. მომრიგებელი კომისიის თავმჯდომარედ არის ხოლმე სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, ან საუზნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი; მომრიგებელი კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობას უწევს სხდომას და ხელს უწყობს მხარეთ—მორიგდნენ და ყველა სადაო საკითხებზე შეთანხმებას მიაღწიონ.

**შენიშვნა**. მომრიგებელი კომისიის თავმჯდომარეს გადამწყვეტი ხმა არა აქვს და მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით არის მოსილი.

54. მომრიგებელი კომისიის წევრად გადამწყვეტი ხმის უფლებით შეიძლება იყოს: ბოგანო მუშის მხრით—მიწისა და ტყის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენელი, ხოლო დამქირავებლის მხრით—თვით დამქირავებელი ან მისი რწმუნებული.

**შენიშვნა**. იქ, სადაც მიწისა და ტყის მომუშავეთა კავშირის ორგანო არ არის, ბოგანო-მუშის მხრით შეიძლება გამოვიდეს მისი რწმუნებული ან თითონ იგი.

55. საკითხს მხარეთა წარმომადგენლების უფლებამოსილობის შესახებ გადასწყვეტს მომრიგებელი კომისიის თავმჯდომარე სხდომის დაწყებამდე.

**შენიშვნა**. იმის მიუხედავათ, თუ რამდენი დამსწრე იქნება, დამქირავებლისა და დაქირავებულის წარმომადგენლებს აქვთ მხოლოდ თითო გადამწყვეტი ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან დაესწროს მომრიგებელი კომისიის სხდომას კონფლიქტის განხილვის დროს.

**შენიშვნა.** მომრიგებელი კომისიის სხდომა სწარმოებს კარღია.

57. მომრიგებელ კომისიაში გადაცემული ყოველი კონფლიქტი გადაწყდება ამ კომისიაში მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. უკეთუ მხარეთა შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან დავა სათანადო სახალხო სასამართლოს გადასცეს.

58. მომრიგებელი კომისიის თვითეულ სხდომაზე შედგენილ უნდა იქნეს ოქმი. ოქმის დედანი დაერთვის საქმეს, რომელიც ინახება სოფლის საბჭოში ან საუბნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელ კომიტეტში; მხარეთ და დაინტერესებულ პირთ, მათი თხოვნით, მიეცემა შემოწმებული ასლი.

59. მომრიგებელ კომისიაში მიღწეული შეთანხმება ჩაიწერება იმავე სხდომაზე, რომელზედაც შეთანხმება იქნა მიღწეული, და მას დაუყოვნებლივ ხელს მოაწერენ მხარენი და თავმჯდომარე.

60. მომრიგებელ კომისიაში მიღწეული და თავმჯდომარისა და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება—სავალდებულოა მხარეთათვის და ძალამოსილია როგორც სასამართლოს გადაწყვეტილება.

61. უკეთუ დამქირავებელი არ მოისურვებს ნებაყოფლობით შეასრულოს მის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება, სოფლის საბჭო ან საუბნო (სათემო, სადაირო) აღმასრულებელი კომიტეტი, მიწისა და ტყის მომუშავეთა კავშირისა ან თვით ბოგანო-მუშის განცხადებისამებრ, გადასცემს მომრიგებელ კომისიაში მიღწეული შეთანხმების იფიციალურად შემოწმებულ ასლს სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელის მისაღებად ამ შეთანხმების იძულებით შესრულებისათვის

62. უკეთუ მომრიგებელ კომისიაში განხილულია რამდენიმე საკითხი და ზოგიერთ ამ საკითხზე მოხდა შეთანხმება, ოქმში გადაწყვეტილებათა ჩამოყალიბების შემდეგ, ის გადასწყვეტილება, რომელზედაც შეთანხმება მოხდა, სავალდებულოდ გადაიქცევა მხარეთათვის; ხოლო ის საკითხები, რაზედაც შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, შეიძლება გადასაწყვეტად გადატანილ იქნეს, საერთო წესისამებრ, სახალხო სასამართლოში.

63. სახალხო სასამართლო მოვალეა განიხილოს დავა ბოგანო-მუშასა და დამქირავებელს შორის არა უგვიანეს ერთი კვირისა სასამართლოში საქმის შესვლის დღიდან.

## XI. პასუხისმგებლობა წესების დარღვევისათვის.

64. ამა ინსტრუქციის წესების დარღვევისათვის დამქირავებელი პასუხს აგებს სასამართლოს წესით.

65. ზედამხედველობა ამა ინსტრუქციის აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის ინსპექციას.

66. შრომის ინსპექტორს უფლება აქვს—აღძრას ხოლმე საკითხი ისეთი შრომის ხელშეკრულობის შეცვლისა ან მოშლის შესახებ, რომელიც აუარესებს ბოგანო-მუშის (კაცი თუ ქალი) მდგომარეობას ამა ინსტრუქციასთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. იმ გადასახდელის რაოდენობა, რაც სახალხო სასამართლომ უნდა დაადოს დამნაშავეს საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის გამოყენების წესების შეუ რულებლობისათვის, არ შეიძლება აღემატებოდეს 25 მან. ან დაპატიმრებას ორკვირამდე.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 წ. ივლისის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 943 №-ში 1925 წლის აგვისტოს 5-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**476.** **ა/კ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1922 წ. დეკემბრის 30-ს თარიღისა და 92 №-რის დეკრეტის გაუქმებისა და ამიერკავკასიის ცენტ. აღმას. კომიტეტის 1924 წ. თებერვლის 11-ს თარიღის დადგენილების დამატების შესახებ.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს 1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღისა და 92 №-რის დადგენილება—ტელეგრაფისა და ტელეფონის ხაზთა დაცვის შესახებ (ა/კ. ს. ს. რ-ბის საკავშ. საბჭოს კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე 7 №-რი, მუხ. 92).

2. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. თებერვლის 11-ს დეკრეტს—ს. ს. რ-ბის კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში—ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონებისა და ნაგებობის დაცვისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 26) დაემატოს შემდეგი:

„ჯარიმის გადახდა არ ანთავისუფლებს სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დამნაშავეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, რაც სასამართლოს წესით უნდა იქნეს გადახდევინებული".

ამიერკავკასიის ცენტ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ხ. ხანოიანი.**

ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 944 №-ში 1925 წ. აგვისტოს 6-ს.

# დადგენილება ა/კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტისა და ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 477. მუშათა, მოსამსახურეთა და სამხედრო მსახურთა ოჯახების დეფექტიან წევრთა უზრუნველყოფის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. 16 წ. ასაკს მიღწეული პირნი, რომელნიც, დაბადებიდანვე თანდაყოლილი ან ამ ასაკის მიღწევამდე შეთვისებული რაიმე ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლის გამო, სრულიად მოკლებულ არიან შრომის უნარს, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებისა ან სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ, თანახმად ამა დადგენილების შემდეგი მუხლებისა.

**შენიშვნა.** ამა დადგენილების წესისამებრ უზრუნველყოფა არ შეეფარდება 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთაგან ისეთს, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით არა ჰსაჭიროებს ფაქტიურად ასეთს უზრუნველყოფას; აგრეთვე უზრუნველყოფა არ შეეფარდება 1-ლ მუხლში დასახელებულ პირთა შორის ისეთს, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა არჩინონ მისმა ნათესავებმა.

2. ის პირი, რომელზედაც გავრცელდება 1-ლი მუხლის მოქმედება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ, უკეთუ იგი წევრია შემდეგი კატეგორიების პირთა ოჯახისა და მათ მზრუნველობაზე იმყოფება:

ა) გარდაცვალებული ან უკვალოდ დაკარგული სამხედრო მსახურისა;

ბ) გარდაცვალებული ომის ინვალიდისა, რომელსაც უზრუნველჰყოფდა სახელმწიფო;

გ) წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ჯარში გაწვეული პირისა, უკეთუ დეფექტიანი წევრი მისი ოჯახისა არის: ა) შვილი, ბ) ძმა ან და—სრულიად ობოლი, გ) ცოლი, რომელიც შრომის უუნაროა ან რომელსაც ჰყავს თავისთან ბალღი ასაკით 8 წლამდე, დ) შრომის უუნარო მამა და დედა, უკეთუ ამ ოჯახში სხვა, შრომისუნარიანი პირი არ იმყოფება.

3. ის პირი რომელსაც შეეფარდება ამა დადგენილების 1-ლი მუხლის მოქმედება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, შრომის კანონთა კოდექსის 139 მუხლით დადგენილ ნუსხის დამატებად, სოციალური დაზღვევის წესით, უკეთუ იგი არის შვილი, ძმა ან და იმ პირისა, რომელზედაც ვრცელდება სოციალური დაზღვევა.

4. აღნიშნულ პირთა უზრუნველყოფის ნორმები განისაზღვრება საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია წითელარმიელთა და გარდაცვალებულ სამხედრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურთა ოჯახების წევრებისათვის ან გარდაცვალებულ დაზღვეულთა ოჯახების წევრებისათვის—კუთვნილებისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებილი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. ივლისის 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 944 №-ში 1925 წ. აგვისტოს 6-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**478. ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საფონდო და სავალიუტო ფასეულობის ვაჭრობის თაობაზე—1925 წ. ივლისის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გამო.**

საფონდო და სავალიუტო ფასეულობის ვაჭრობის შესახებ ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების გამო ა/კ. ცენტ. აღმ. კომიტეტი ადგენს, გაუქმებულ იქნეს:

1. ა/კ. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს 1923 წ. აპრილის 14-ს დადგენილება—სახელმწიფო დაწესებულებათა და კოოპერატიულ და შერეულ საზოგადოებათა მიერ სავალიუტო ოპერაციების წარმოების შესახებ ბირჟის მაკლერების შეშვეობით (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-6 №-რი, მუხ. 71);
2. მუხ. მე-4, მუხ. მე-5—შენიშვნითურთ—და მუხ. მე-7—შენიშვნითურთ ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა—სავალიუტო ოპერაციების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 91).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 7.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 948 №-ში 1925 წ. აგვისტოს 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

**479.** **ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საკანცელარიო გამოსაღების მოსპობის თაობაზე—დადგენილების გამოცემის გამო.**

საკანცელარიო გამოსაღების მოსპობის შესახებ ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. ივლისის 17 თარიღით გამოცემული დადგენილების გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი დადგენილებანი:

1) 1923 წ. აპრილის 5-სა—საკანცელარიო გამოსაღების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 80).

2) 1923 წ. აგვისტოს 22-სა—საკანცელარიო გამოსაღების განაკვეთის გადიდების შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 183).

3) 1923 წ. სექტემბრის 27-სა—საკანცელარიო გამოსაღების შეცვლის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 205)

4) 1924 წ. დეკემბრის 8-სა—საკანცელარიო გამოსაღებისა და მისი გადახდევინების წესის შესახებ (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1924 წ. მე-9 №-რი, მუხ. 306).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

ტფილისი-სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 7.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 948 №-ში 1925 წ. აგვისტოს 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტისა.

**480.** **ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ საბიუჯეტო უფლებათა შესახებ—გამოცემული დადგენილების 32 მუხ. დამატებისათვის.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კ. ს. ფ. ს. რ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1925 წ. აპრილის 27 თარიღით გამოცემული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1925 წ. მე-5 № რი, მუხ. 435) დადგენილების 32 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში კრედიტების გადანაცვლებას პარაგრაფიდან პარაგრაფში მოახდენს ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 7.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 948 №-ში 1925 წ. აგვისტოს 11-ს.

---

# დადგენილება ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. აგვისტოს 4.

(განმკარგ. სხდომ. ოქმი № 7/6)

**481.** **სომხეთის სოც. საბჭ. რესპ. აღმშენებლობის საჭიროებისათვის ანი—ერევან—კამარლუს უბანში საშენი თირი-ქვის გადაზიდვისათვის შეღავათის დაწესების შესახებ.**

2.500 ვაგონი ბუნებრივი თირის (საშენი ქვა—ს. ს. რ-ბის კავშირის რკინ. გზების ტარიფების კრებ. მე-2 ნაწ., 24 პოზიც. 41 ჯგუფი) გადაზიდვისათვის ანი—ერევან—კამარლუს უბანში საბინაო-საამშენებლო კოოპერატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებისა და მათი კავშირის მისამართით ქვემოდ ჩამოთვლილი დამატებითი გამოსაღებები:

1) საწილადო გამოსაღები დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, უკეთუ თირი-ქვის დატვირთვა და გადმოტვირთვა მოხდება ტვირთის პატრონის სახსარით და

2) გამოსაღები აწონისათვის—

**გადახდევინებულ არ უნდა იქნეს.**

საგადასაზიდო ფასი გადახდევინებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ.

შეღავათი ესე დაწესებულია ერთის წლის ვადით დღიდან შემოღებისა, ძალაში შედის შვიდი დღის გასვლისას დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა და შეფარდებულ უნდა იქნეს იმ პირობით, უკეთუ თირი-ქვის გაგზავნისა და დანიშნულების სადგურზე წარდგენილ იქნება იმის დამამტკიცებელი მოწმობა, რომ ტვირთი ეკუთვნის საბინაო-საალმშენებლო კოოპერატივებს ან მათ კავშირს.

ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე—გამგეობის წევრი **ფიცხელაური.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 948 №-ში 1925 წ. აგვისტოს 11-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 482. მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ.

თანახმად ს. ს. რ-ბის კავშირიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 16-ს დადგენილებისა—მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ (მთავრ. „ვესტნიკი“-ს 1924 წ. მე-5 №-რი, მუხ. 170), რომელი დადგენილებაც შეცვლილ იქნა ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ორის დადგეილებით—1925 წ. აპრილის 3-ს თარიღისა (ს. ს. რ-ბის კავშირის კანონთა კრებ. 1925 წ. 26 №-რი, მუხ. 178 და 179) და თანახმად 1924 წ. ივლისის 5-ს თარიღით გამოცემული დროებითი დებულებისა—ს. ს. რ-ბის კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის ხელისშემწყობი კომიტეტის შესახებ (კანონთა კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 22), ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ მიზნით, რათა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში მეთვალყურეობა გაეწიოს მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. მაისის 16-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელების საქმეს და რათა შემუშავებულ იქნეს ღონისძიებანი მუშათა ბინების აღმშენებლობის განვითარებისათვის,—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსდება მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის ხელისშემწყობი კომიტეტები, რომელთა შედგენილობაშიაც შევლენ შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: შრომის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური შენაერთისა და ცალკე რესპუბლიკის მთავარი ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტებისა.

2. ხელისშემწყობი რესპუბლიკანური კომიტეტი მოქმედობს სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

3. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა ამიერკავკასიის მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის ხელისშემწყობი კომიტეტი—რესპუბლიკანური ხელისშემწყობი კომიტეტების მუშაობის შეთანხმებისათვის და იმ თანხების განაწილებისათვის, რაც მის განკარგულებაში შევა, როგორც მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობისათვის დანიშნული თანხები.

ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომიტეტი შესდგება შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელთაგან: ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, პროფესიონალურ კავშირთა ა/კ. საბჭოსი, საბინაო კოოპერაციისა, რომელსაც აარჩევს ამ კოოპერაციის ყველა რესპუბლიკანური შენაერთი და მუშათა ბინების კოოპერაციული აღმშენებლობის ხელისშემწყობი ამიერკავკასიის სარკინისგზო კომიტეტისა.

4. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ამიერკავკასიის მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის ხელისშემწყობ კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებანი მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის და აგრეთვე საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ აღმშენებლობას ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე;

ბ) თვალყური ადევნოს მუშათა ბინების აღმშენებლობის საკითხების გამო საკანონმდებლო ორგანოების მიერ გამოცემულ დადგენილებათა განხორციელებას ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე;

ს) თვალყური ადევნოს, რათა წესიერად იქნეს გამოყენებული კუთვნილებისამებრ რესპუბლიკანური და ადგილობრივი ფონდები მუშათა ბინების აღმშენებლობისა;

დ) გაანაწილოს ა/კ. ხელისშემწყობი კომიტეტის განკარგულებაში შესული სახსარი ა/კ. ს. ფ. რ-ში შემავალი რესპუბლიკების მუშათა ბინების აღმშენებლობის ფონდებ შორის.

5. ამიერკავკასიის ხელისშემწყობი კომიტეტი განახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული ხელისშემწყობი კომიტეტების მოქმედების მიმართ.

6. ადგილობრივი საბჭო მოვალეა მიუჩინოს სახელმწიფო საწარმოს და მუშათა ბინების აღმშენებლობის კოოპერატივს შეღავათიანი პირობებით მიწა მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის, რამდენადაც შეიძლება, სათანადო საწარმოს ახლო. მინიმალური ზომა იმ მიწისა, რაც ამა მუხლის წესისამებრ უნდა გაიცეს ერთი ბინის ასაგებად, დადგენილ იქნება რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ადგილობრივი საბჭოს წარდგენით.

7. მუშათა ბინების აღმშენებლობისა და მოწყობისათვის უშუალოდ საჭირო ხეტყე გაიცემა შეღავათიან პირობებში; ამასთანავე—სამორე გადასახდელი გრძელვადიან სესხად ჩაითვლება და პირველ წლებში მორიგი გადასახადი არ იქნება გადახდევინებული იმ ფარგალში, რასაც სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დააწესებს.

**შენიშვნა** 1. იმავე საფუძველზე მიჩენილ უნდა იქნეს საჭირო სივრცის კარიერები ქვისა, ქვიშისა და თიხის ამოსაღებად.

**შენიშვნა** 2. მოსაჭრელი ხეტყისა და კარიერების მიჩენა უნდა მოხდეს თვინიერ ამა დადგენილების გამოცემამდე დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისა.

8. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ნოემბრის 24 ს დადგენილება—მუშათა ბინების კოოპერატიულ აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ (კანონთა კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 284)—გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 7.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 950 №-ში 1925 წ. აგვისტოს 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ა/კ. რკინის გზების გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1925 წ. აგვისტოს 13.

(განმაკარგ. სხდომ. ოქმი № 8/6)

**483.** **„ცეკავშირის“ მიერ დამზადებული დატკეცილი თივის გადაზიდვისათვის ვაგონობით დატვირთვის ნორმის შემცირების შესახებ ა/კ. რკინის გზების ადგილობრივი მიმოსვლის ფარგალში.**

ა/კ. რკ. გზების ადგილობრივი მიმოსვლის ფარგალში „ცეკავშირის“ მიერ დამზადიბული დატკეცილი თივის (ს. ს. რ-ბის კავშირის რკ. გზების ტარიფთა კრებულის მე-II ნაწ., 25-ბ პოზიცია, 109 ჯგუფი) გადაზიდვისათვის ა/კ. რკ. გზებზე მდებარე ყველა სადგურიდან ყველა სადგურამდე, ხოლო ყველა საპორტო და სასაზღვრო სადგურიდან ყველა საპროტო და სასასლვრო სადგურამდე გამოკლებით, **ვაგონობითი დატვირთვის ნორმად** დახურულ ვაგონში დაწესებულ იქნეს 5,9 ტონნა (360 ფუთი)

შეღავათი ესე შემოღებულია ერთის წლით და ძალაში შედის 7 დღის გასვლისას ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე—გამგეობის წევრი **ფიცხელაური.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 954 №-ში 1925 წლის აგვისტოს 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 41 ამ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

**484. ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის შესახებ.

### კ ა რ ი I.

#### ზოგადი დებულებანი.

1. ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 6-ს დამტკიცებული საზომ-საწონთა დებულების თანახმად („ს. ს. რ-ბის კავშ. ც. ა. კ., ს. კ. ს. და შ. და თ. ს. ვესტნიკი-"ს 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 202) არსდება ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატა, რათა ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მეთვალყურეობა გაუწიოს იმ საზომ-საწონთა და ყოველგვარ ზომა-წონისა და საკონტროლო ხელსაწყოს სისწორესა და ერთგვარობას, რაც იხმარება ვაჭრობაში, მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, დ რაც აუცილებლად შემოწმებულ დ დაღდასმულ უნდა იქნეს, აგრეთვე, რათა გააერთიანოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე საზომ-საწონთა შემმოწმებელ პალატების მოქმედება და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მოქმედებას.

2. ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატა ექვემდებარება ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და თავისი მოქმედების ადმინისტრატიულ-მეურნეობრივ სფეროში იგი იხელმძღვანელებს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განკარგულებას, ხოლო სამეცნიერო-მეტროლოგიურ სფეროში თავის მოქმედებას იგი განახორციელებს ს. ს. რ-ბის კავ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზომა-წონის მთავარი პალატის ხელმძღვანელობით, მეთვალყურეობით და კონტროლით.

3. თავისი და მის ქვემდებარე დაწესებულებათა მოქმედების ანგარიშს ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატა წარუდგენს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზომა-წონის მთავარ პალატას მათ მიერ დაწესებულ ვადაზე და ფორმით.

4. ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

### კ ა რ ი II.

#### ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის მიზნები.

5. ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის მიზანს შეადგენს:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საზომ-საწონთა შემმოწმებელ პალატებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშაოს და წარადგინოს ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზომა-წონის მთავარ პალატაში დადგენილებათა პროექტები— ზომა-წონის ხელსაწყოთა სავალდებულო შემოწმების შესახებ და ამ დადგენილებათა დამატებებისა და ცვლილებების პროექტები;

გ) დააწესოს გეგმა ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე შემმოწმებელ პალატების ორგანიზაციისა ს. ს. რ-ბის კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ზომა-წონის მთავარ პალატასთან შეთანხმებით;

დ) შეიმუშაოს და გამოსცეს, ა/კ. ს. ფ. ს.რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დამტკიცებით, საზომ-საწონთა შესახებ 1924 წ. ივნისის 6-ს თარიღით გამოცემული დებულებისა და აგრეთვე ს. ს. რ-ბის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ინსტრუქციებისა და წესების (რაც გამოცემულ იქნება ზომა-წონის უმაღლესი პალატისათვის) ფარგლებში—დამატებითი წესები და ინსტრუქციები, ადგილობრივი თავისებურობით გამოწვეული;

ე) აღნუსხოს გამოსაღები საზომ-საწონთა შემოწმებისა და დაღის დასმისათვის და სხვა შემოსავალი, რაც ადგილობრივ შემმოწმებელ პალატებში შევა, და აგრეთვე განაგოს ეს სახსარი საზომ-საწონთა შესახებ 1924 წ. ივნისის 6-ს თარიღით გამოცემული დებულების მე 9 მუხ. თანახმად;

ვ) დააწესოს, ს. ს. რ-ბის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში) შეთანხმებით, იმ საბაჟოთა ნუსხა, რომელთა მეშვეობითაც ნებადართულია საზღვარგარეთიდან აუცილებლად შესამოწმებელ საზომ-საწონთა შემოტანა;

ზ) შეკრიფოს და შეიმუშაოს, ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, სტატისტიკური ცნობები იმ ზომა-წონის ხელსაწყოთა შესახებ, რაც ხმარებაშია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში;

თ) მოაწყოს ზომა-წონის ხელსაწყოთა რემონტის საქმე შემმოწმებელი პალატების სახელოსნოებში და მეთვალყურეობა გაუწიოს ამ სახელოსნოების მოქმედებას;

ი) მიაწოდოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. საზომ-საწონთა შემმოწმებელ პალატებს ღერბიანი ბეჭდები.

## კ ა რ ი III

### ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის უფლებანი.

6. ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატას უფლება აქვს:

ა) მოახდინოს ხოლმე ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ ყველა, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ, ისე კერძო დაწესებულებაში და საწარმოში რევიზია საზომ-საწონთა და ყოველგვარი ზომა-წონისა და საკონტროლო ხელსაწყოსი, რის შემოწმებაც სავალდებულოა;

ბ) ურთიერთი მიმართვა იქონიოს სათანადო დაწესებულებასთან და პირთან იმ საკითხების გამო, რაც შედის ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის გამგებლობის ფარგალში;

გ) მოაწყოს სამეცნიერო-მეტროლოგიური მუშაობა ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე ს. ს. რ-ბის კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ზომა-წონის მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალატასთან შეთანხმებული გეგმით, რისთვისაც მან უნდა შექმნას საამისოდ ცალკე გადადებული სახსარით ან სპეციალურ სახსართა შემოსავლით ლაბარატორიები, ფიზიკო-მექანიკური სახელოსნოები, ბიბლიოთეკები და სხვ.

**შენიშვნა.** ლაბარატორიებში შეუძლიანთ იმეცადინონ მეცნიერებმა სპეციალური სამეცნიერო-მეტროლოგიური მუშაობისათვის.

დ) მოაწყოს სხვა დაწესებულებასთან ერთად ან დამოუკიდებლად თავისი შედგენილობიდან მუდმივი და დროებითი კომისიები, მცოდნე პირთა კოოპტაციით;

ე) მოიწვიოს ხოლმე, ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით, პერიოდული ყრილობები თეორეტიული და გამოყენებითი მეტროლოგიისა და შემოწმების საქმის ორგანიზაციის საკითხების განხილვისა და შემუშავებისათვის, აგრეთვე იმ საკითხებისათვისაც, რაც მრეწველობაში და ტეხნიკაში დაკავშირებულია ნორმალიზაციასა და სტანდარტიზაციასთან;

ვ) მოაწყოს კურსები მეტროლოგიისა და შემოწმების საქმის სფეროში სპეციალისტების მოსამზადებლად, იმ პირობით, რომ ვინც ამ კურსებს დაამთავრებს, მოვალეა გამოცდა ჩააბაროს ს. ს. რ-ბის კავშირის სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს ზომა-წონის უმაღლეს პალატას ამ პალატის მიერ დადგენილი პროგრამით;

ზ) გამოსცეს თავისი ნაშრომი, ანგარიში, პერიოდული ჟურნალი და სხვ.;

თ) მოაწყოს თხზულებათა კონკურსი თეორეტიული და გამოყენებითი მეტროლოგიის საკითხების გამო.

7. წიგნებისა, ჟურნალებისა, სამეცნიერო ხელსაწყოსი და მასალის შეძენის სფეროში ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატას აქვს ყველა ის უფლება, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რ. სამეცნიერო დაწესებულებათ.

8. ა/კ. ზომა-წონის პალატას უფლება აქვს სპეციალური სახსარი იქონიოს (თანახმად ს. ს. რ. კავშირის ცენტრ. აღმ. კომ. და სახ. კომ. საბჭოს 1924 წ. მარტის 7-ს დადგენილებისა—მთავრ-„ვესტნიკი"-ს მე-3 №-რი, მუხ. 71). სპეციალური სახსარის შექმნისათვის შემოსავლის მოსაპოებლად ა/კ. ზომა-წონის პალატას უფლება ეძლევა დასდოს ხელშეკრულებანი და ყოველგვარი ქონებრივი გარიგებანი სათანადო კანონის შესრულებით; ამასთანავე ა/კ. ზომა-წონის პალატა პასუხს აგებს თავის ვალდებულებათათვის იმ სახსართა ფარგალში, რასაც იგი მიიღებს ამა მუხლის წესისამებრ.

## კ ა რ ი IV

### ა/კ. ზომა-წონის პალატის შედგენილობა.

9. ა/კ. ზომა-წონის პალატის შედგენილობაში შედიან:

ა) პალატის უფროსი, მისი თანაშემწე, ინსპექტორები და დამხმარე პერსონალი;

ბ) რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც მოქმედობს ამა დებულების მე-13 მუხ. თანახმად.

10. ა/კ. ზომა წონის პალატის უფროსს და მის თანაშემწეს დანიშნავს ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო იმ პირთაგან, ვისაც სპეციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერული მომზადება აქვს; ეს დანიშვნა წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ს. ს. რ-ბის კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ზომა-წონის უმაღლეს პალატასთან.

**შენიშვნა.** ა/კ. ზომა-წონის პალატის უფროსი ლენინგრადში ყოფნის დროს მონაწილეობას მიიღებს ზომა-წონის უმაღლესი პალატის მეტროლოგიური საბჭოს სხდომებში ამ საბჭოს წევრის უფლებით.

11. ინსპექტორებს დაამტკიცებს ს. ს. რ-ბის კავშირის სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ზომა-წონის მთავარი პალატის შემმოწმებელი ინსტიტუტი ა/კ. ზომა-წონის პალატის უფროსის წარდგენით.

12. ა/კ. ზომა-წონის პალატის დამხმარე პერსონალს დანიშნავს ამ პალატის უფროსი.

13. ა/კ. ზომა-წონის პალატასთან, უფროსის თავმჯდომარეობით, დაარსდება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეთა საბჭო, რომლის მოვალეობასაც შეადგენს:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს ა/კ. ზომა-წონის პალატის ანგარიშები, ბალანსები და ხარჯთაღრიცხვების პროექტები;

ბ) განიხილოს ადგილობრივი საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატების ხარჯთაღრიცხვებისა და შტატების პროექტები, აგრეთვე ანგარიშები და ბალანსები;

გ) გადასწყვიტოს საკითხი ა/კ. ზომა-წონის პალატისა და ადგილობრივი შემმოწმებელი პალატებისათვის უძრავი ქონების შეძენის საკითხი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში;

დ) მოახდინოს სალაროს რევიზია და შეამოწმოს ა/კ. ზომა-წონის პალატის ადმინისტრაციის მიერ დახარჯული თანხების სისწორე;

ე) განიხილოს ა/კ. ზომა-წონის პალატისა და ადგილობრივი შემმოწმებელი პალატების დებულების ცვლილებათა პროექტები.

14. უკეთუ პალატის უფროსი თანახმა არ იქნება საბჭოს დადგენილებისა, საკითხი გადასაწყვეტად ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში გადაიტანება.

15. საბჭოს თავისი აპარატი არა ჰყავს და გამოიყენებს ა/კ. პალატის აპარატს.

## კ ა რ ი V.

### შ ტ ა ტ ი.

16. ა/კ. ზომა-წონის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების თანამშრომელთა შედგენილობა განისაზღვრება საშტატო განრიგებით, რაც დაწესებულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს კანონის მიერ გათვალისწინებული წესით.

17. პალატის უფროსს უფლება აქვს, საშტატო განრიგების ფარგალში, მოახდინოს ხოლმე თანამდებობათა განაწილება საჭიროებისადა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კ ა რ ი VI.

### ა/კ. ზომა-წონის პალატის შინაგანი წესრიგი.

18. ა/კ. ზომა-წონის პალატის შინაგანი წესრიგი და შინაგანი მუშაობის მოწყობა განისაზღვრება ა/კ. პალატის უფროსის სპეციალური წერილობითი და სიტყვიერი ინსტრუქციებით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. ხოკოლხკი.**

1925 წ. აგვისტოს 13. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 956 № ში 1925 წ. აგვისტოს 21-ს.

---

# განმარტება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. აგვისტოს 20

## 485. თვით დაბეგვრისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 29-ს დადგენილების თანახმად, მოსახლეობის თვითდაბეგვრა და ყოველგვარი ნებაყოფლობითი გამოსაღები შეიძლება მოხდეს მარტოოდენ მოქალაქეთა ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე; ამასთანავე არც ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, არც ადმინისტრატიულ ორგანოებს (სოფლის საბჭოთა გამოუკლებლივ) არ შეუძლიანთ მიიღონ რაიმე მონაწილეობა თვითდაბეგვრისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების მოწყობისა და განხორციელების საქმეში.

ყოველგვარი უკანონო გადასახადი და გამოსაღები, სხვათა შორის ისეთიც, რაც ვითომდა „თვითდაბეგვრის" სახით იქნება გატარებული, აგრეთვე უკანონო შესაკრეფელი, რაც მცხოვრებთ ვითომდა „ნებაყოფლობითი გამოსაღების" სახით გადაჰხდება იძულებითი წესით, ძირიან-ფესვიანად მოსპობილ უნდა იქნეს.

უკანონო გამოსაღებთა კატეგორიას ეკუთვნის: ა) მცხოვრებთაგან იძულებით გადახდევინებული, არსებული წესით ნებადართული საქველმოქმედო გამოსაღები საჰაერო ფლოტის საზოგადოებისა და სხვ. ამისთ. რამის სასარგებლოდ; ბ) იძულებითი დარიგება სავადასხვა საწარმოთა და დაწესებულებათა სალაროების მიერ ყოველგვარი საქველმოქმედო მარკებისა და ნაბეჭდი გამოცემისა, ფოტოგრაფიული და სხვაფრივ გადაღებული სურათებისა—მათი დოკუმენტებზე და ანგარიშებზე დაკვრით ან ხურდის ნაცვლად მიცემის სახით; გ) იძულება სავაჭრო საწარმოთა ადმინისტრატიული მუქარის ზეგავლენით ხელი მოა-

წერონ პერიოდულ გამოცემაზე; დ) ამა თუ იმ გამოსაღების გადახდევინება მყიდველისათვის მიყიდული საქონლის ანგარიშზე მიწერით და სხვ.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი მიაქცევს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ყოვლად შეუწყნარებელია საქველმოქმედო მარკების გავრცელება და საქველმოქმედო გამოსაღების გადახდევინება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროების მეშვეობით.

უკანონო გამოსაღების იძულებით გადახდევინებაში დამნაშავე პირი მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

რათა ბრძოლა უკანონო გადასახადებისა და გამოსაღების წინააღმდეგ წარმატებით იქნეს წარმოებული, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს მოქალაქეთ—ყველა შემთხვევა უკანონო გამოსაღების გადახდევინებისა დაუყოვნებლივ აცნობონ ამიერკავ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში ან ადგილობრივ საფინანსო ორგანოს (ფინანსთა ინსპექტორების სამაზრო საფინანსო განყოფილებათ) დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **ერქომაიშვილი.**

ადგილობრივი ფინანსების სამმართ. უფროსი **ხახანაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 958 №-ში 1925 წ. აგვისტოს 23-ს.

---

# დადგენილება № 51 ამ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1925 წ. აგვისტოს 19.

(მოწესრიგების სამმართველოსათვის)

## 486. სასილიკატო ნაკეთობის ფასისათვის წანამატის დაწესების შესახებ.

„ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების" შესახებ ამიერკავკასიის ცენტ. აღმ. კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე 3 მუხ. „გ" პუნქტის თანახმად, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. მაისის 8-ს თარიღითა და 39 №-რით გამოცემული და ამიერკავკასიის ბიულეტენის 1925 წ. მაისის 9-ს თარიღის 62 №-ში გამოქვეყნებული დადგენილების მე-2 §-ს გასაუქმებლად ადგენს:

§ 1.

სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სასილიკატო პროდუქტების ვაჭრობის ტფილისის განყოფილების საწყობში და ნოვგოროდის სავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრო ტრესტის ტფილისის განყოფილების საწყობში სასილიკატო ნაკეთობის ბითუმად გაყიდვისათვის დაწესებულ იქნეს წანამატი ს. ს. რ-ბის კავშირის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სასინდიკატო ფასის 20 %-ს რაოდენობით.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსის მოადგილე **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 960 №-ში 1925 წ. აგვისტოს 26-ს.

# დადგენილება № 42 ამ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

## 487. ადგილობრივი შემმოწმებელი პალატების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება:

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ადგილობრივი შემმოწმებელი პალატების შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთგვაროვა, სისწორე და სათანადო ხმარება საზომისა, სასწვრისა და ყოველგვარი სხვა ზომა წონის და საკონტროლო ხელსაწყოსი, რაც კანონით აუცილებლად შემოწმებულ და დაღ-დასმულ უნდა იქნეს,—ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან დაარსდება საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატები; ეს პალატები არიან სამეცნიერო-ტეხნიკური დაწესებულებანი და მოქმედობენ ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის ხელმძღვანელობით, მეთვალყურეობით და კონტროლით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად შემმოწმებელი პალატა:

ა) აწარმოებს საზომისა, სასწვრისა და ყოველგვარი ზომა-წონის და საკონტროლო ხელსაწყოს პირვანდელ და განმეორებით შემოწმებას;

ბ) მოახდენს საზომ-საწონთა უეცარ რევიზიას;

გ) მისცემს პირველდაწყებით მომზადებას იმ პირთ, ვისაც ჰსურს შემმოწმებლის თანამდებობა მიიღოს;

დ) მოამზადებს წონის საქმის პრაქტიკოსებს, რისთვისაც გახსნის კურსებს ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ზომა-წონის მთავარი პალატის მიერ დამტკიცებული პროგრამით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გასცემს ნებართვას საზომ-საწონთა რემონტის წარმოების უფლებისას;

კ) გაავრცელებს მოსახლეობაში საჭირო ცოდნას საზომ-საწონთა და მათი მოხმარების შესახებ.

3. შემმოწმებელი პალატა გაიხსნება ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის განკარგულებით სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებისამებრ; იგივე ამიერკავკასიის პალატა განსაზღვრავს შემმოწმებელი პალატის მოქმედების რაიონს და გამოაქვეყნებს ამას საყოველთაო ცნობისათვის არსებული წესისამებრ.

4. შემმოწმებელი პალატა თავის რაიონში გახსნის, საჭიროებისა და მიხედვით, დროებით განყოფილებას და წარავლინებს შემმოწმებელთ საზომ-საწონთა შემოწმებისა და დაღის დასასმელად შემმოწმებელი პალატის გარეშე.

5. შემმოწმებელ პალატას აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების წარწერით, აგრეთვე განსაკუთრებული დაღები შესამოწმებელი ზომა-წონის ხელსაწყოსათვის ნიშნების დასასმელად; ამ დაღებს დაამზადებს ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის ზომა-წონის მთავარი პალატა.

6. საზომ-საწონთა შემმოწმებელი პალატის გამგებლობა მიენდობა გამგეს, რომელსაც დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო; ეს დანიშვნა წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის უფროსთან. გამგე უნდა დაინიშნოს იმ პირთაგან, ვისაც სპეციალური მეტროლოგიური განათლება აქვს და შემმოწმებელ დაწესებულებაში ორწელიწადზე ნაკლები არ უმსახურნია.

7. შემმოწმებელ პალატაში საქმის წარმოებისათვის პალატის გამგე, სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თანხმობით, დანიშნავს სამეცნიერო-ტეხნიკურ და დამხმარე პერსონალს, ამიერკავკასიის ზომ-წონის პალატის მიერ დამტკიცებული მტკიცე შტატის მიხედვით.

**შენიშვნა.** შემმოწმებელი პალატის სამეცნიერო-ტეხნიკურ პერსონალს ეკუთვნიან: უფროსი შემმოწმებელი, შემმოწმებელი და შემმოწმებლის თანაშემწე.

8. უფროს შემმოწმებელსა და შემმოწმებლს დაამტკიცებს ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატა შემმოწმებელი პალატის წარდგენით; შემმოწმებლის თანაშემწეს და დამხმარე პერსონალს: მდივანს, ბუხჰალტერს, მემანქანეს, ლაბორატორის მოსამსახურეს და სხვ. დანიშნავს შემმოწმებელი პალატის გამგე.

**შენიშვნა.** შემმოწმებელი პალატის მოსამსახურეს არ შეუძლიან გახსნას სახელოსნო საზომ-საწონთა რემონტისა და დამზადებისათვის და აწარმოოს საზომ საწონთა ვაჭრობა.

9. საზომ-საწონთა შემოწმებისა და დაღის დასმისათვის შემმოწმებელი პალატა იხელმძღვანელებს ს. ს. რ-ბის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 6 ს დამტკიცებულ დებულებას საზომ საწონთა შესახებ (მთავ. „ვესტნიკი"-ს 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 202), აგრეთვე ინსტრუქციებს და წესებს, რასაც ხსენებული დებულების საფუძველზე გამოსცემენ ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

10. გამოსაღები საზომ-საწონის ხელსაწყოს შემოწმებისა და დაღის დასმისათვის (დაწესებულ ნიხრისამებრ) შეიტანება შემმოწმებელ პალატასა და მის განყოფილებაში სათანადო ქვითარით.

11. უკეთუ აღმოჩენილ იქნება საზომ-საწონთა არა-კანონიერი ხმარება, შემმოწმებელი პალატა აღძრავს დამნაშავის წინააღმდეგ დევნას სასამართლოს წესით, თანახმად დებულებისა საზომ საწონთა შესახებ.

12. სასამართლოს, ადმინისტრატიული და სამხედრო ხელისუფლების მიწვევით შემმოწმებელი პალატა მოახდენს (დადგენილ ნიხრისამებრ) ზომა-წონის ხელსაწყოს ექსპერტიზას.

13. შემმოწმებელი პალატა წარუდგენს ყოველთვე, არა უგვიანეს შემდეგითვის 15 რიცხვისა, ამიერ-კავკასიის ზომა-წონის პალატას თავისი მოქმედების ანგარიშს ამიერკავკასიის პალატის მიერ დაწესებული ფორმით.

14. შემმოწმებელი პალატა წარუდგენს ამიერკავკასიის პალატას, ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ვადაზე და ფორმით, თავისი მუშაობის გეგმას წინამდებარე წლისათვის.

15. ადგილობრივი შემმოწმებელი პალატა მიმართავს ს. ს. რ-ბის სახალხო მეურნეობის ზომა-წონის მთავარ პალატას ყოველთვის ამიერკავკასიის ზომა-წონის პალატის მეშვეობით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. ხოკოლსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1925 წ. აგვისტოს 13.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 961 №-ში 1925 წ. აგვისტოს 27-ს.

---

# დადგენილება № 43 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

**488.** **შრომის ინსპექტორების მიერ დამქირავებელთა პასუხისგებაში მიცემის წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეების შრომის დაცვის მიზნით გამოცემული დადგენილებების აღუსრულებლობისათვის.**

შრომის კანონთა კოდექსის 148 მუხლის „ე“ პუნქტის განსავითარებლად, რომელი მუხლიც შეეხება შრომის ინსპექტორების უფლებას, რის ძალითაც მათ დამქირავებელნი სამართლის დარღვევისათვის პასუხისგებაში უნდა მისცენ ხოლმე სასამართლოს თუ ადმინისტრატიულის წესით, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შრომის ინსპექტორი ადმინისტრატიულის წესით წარმართავს საქმეს, უკეთუ დამქირავებელი დაარღვევს:

ა) შრომის კანონდებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დარღვევა, თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისა, წარმართულია სასამართლოს წესით დევნისათვის;

ბ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს სავალდებულო დადგენილებას, რაც გამოცემულ იქნება შრომის სფეროში ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებათა განსავითარებლად, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დადგენილებებში გათვალისწინებულია ამა თუ იმ დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადება.

**შენიშვნა.** ამა მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნულ შრომის დადგენილებათა ნუსხას დააწესებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ს. ს. რ-ბის კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რწმუნებულთან (ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში) შეთანხმებით.

2. წესი ამა დადგეიილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადებისა, აგრეთვე წესი იმ დადგენილების განსაჩივრებისა, რომლითაც გადასახდელი იქნა დადებული, განისაზღვრება სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით—„სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ".

3. შრომის დაგენილებათა დარღვევისათვის დამქირავებელთაგან ჯარიმის სახით გადახდევინებული თანხები ჩაირიცხება სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ ფონდში—კუთვნილებისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ნ. სოკოლსკი.**

1925 წ. აავისტოს 13. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 962 №-ში 1925 წ. აგვისტოს 28-ს.

---

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პრ. № 91.

მთავარლიტი № 1308. შეკვ. № —/9632. დაიბეჭდა 1500.